ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

8 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 214 (10383) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გასჭირვებია...

ინდიანაპოლისში (აშშ) დაწყებულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში თბილისელი ლეილა მესხის მეტოქე იყო ამერიკელი ჯენიფერ რეინბოლდი. მესხს არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება — 6:1, 6:2. იქვე მოასპარეზე კიეველ ნატალია მედვედევას სამი პარტია დასჭირდა სტეისი მარტინის (აშშ) დასამარცხებლად — 6:1, 1:6, 6:4. სხვა შეხვედრათაგან აღსანიშნავია ტურნირში მეორე ნომრად განთესილი ესპანელი კონჩიტა მარტინესის იოლი გამარჯვება არგენტინელ ბეტინა ფულკოსთან — 6:1, 6:2.

რეგისტრაციაში გაატარეს პირველი გამაჯანსაღებელი კლუბი

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის წარდგინებით საბურთალოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა საქართველოში პირველი გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი", რომელიც თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დიდ დიღომში პეტრიწის ქ. № 15-ში გაიხსნება.

ამ კლუბის მუშაობის გამოცდილება მთელს რესპუბლიკაში განზოგადდება.

პასუხი „ლელოს"

მეთოდისტებს ხელფასი მოემატათ

„ლელოს" 1990 წლის 30 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული „ჭიათურმარგანეცის" გამამდიდრებელი ფაბრიკების კომპლექსის ფიზიკური კულტურის მეთოდისტის ლ. ფხალაძის წერილის თაობაზე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფაქტი შესწავლილ იქნა მეტალურგების მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად და აღმოჩნდა, რომ სსრკ შრომისა და სოციალური საკითხების, საკავშირო პროფესიული კავშირების საბჭოს 1989 წლის 29 ივნისის № 226/11-70 დადგენილების — „ფიზიკური კულტურის მეთოდისტების ხელფასის ანაზღაურების შესახებ", — თანახმად, ლ. ფხალაძეს უკვე მოემატა ხელფასი, რაც ამჟამად შეადგენს 160 მანეთს.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოსა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების მიერ ფიზიკური კულტურის მეთოდისტების ხელფასის მომატების საკითხი მუდმივ კონტროლზეა აყვანილი.

ა. აბესაძე,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

შექება მეტს ავალებთ

ბოლო ხანს ხშირად გვსმენია „მართვეს" კალათბურთის სკოლის წარმატებებზე. გაზაფხულზე ამ სკოლის ჭაბუკმა სპორტსმენებმა ძალები მოსინჯეს საერთაშორისო ტურნირზე საფრანგეთში და არცთუ ურიგოდ. ახლახან გუნდი დაბრუნდა იტალიიდან, სადაც საკურორტო ქალაქ პესკარაში მონაწილეობდა ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ორგანიზებული იყო „ამატორი ბასკეტის" სპორტული კლუბის მიერ.

—პირველი დღიდანვე მასპინძლებმა გულთბილად მიგვიღეს — გვითხრა კალათბურთის 58-ე სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორმა მერაბ კეკელიძემ — რომში ბავშვები მასპინძელთა ოჯახებში დაბინავდნენ. ჩვენმა ბიჭებმა სამი შეხვედრა ჩაატარეს იტალიელ თანატოლებთან, ყველამ კარგად ითამაშა და პირველ ადგილთან ერთად მაყურებელთა მოწონებაც დაიმსახურა. იტალიელებს, როგორც გვითხრეს, დიდი სურვილი აქვთ კონტაქტები დაამყარონ საქართველოსთან. გაისად, მარტში განზრახული გვაქვს ჩვენც ჩავატაროთ ტურნირი და მოვიწვიოთ სხვადასხვა ქვეყნის გუნდები.

იტალიიდან „მართვეს" წევრებმა ადგილობრივი გაზეთებიც ჩამოიტანეს. ერთ-ერთი ნომერი ასეა დასათაურებული: „მოგზაურობა პლანეტაზე... მართვე. ახალგაზრდა ქართველები კალათბურთის „სპექტაკლს დგამენ". აქვე, საანგარიშო წერილში, მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველ ჭაბუკთა თამაშს, აღნიშნავენ მოთამაშეთა მაღალ ტექნიკას.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ მართველები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ შექება და წარმატება ორმაგად ავალებს ჩვენს ჭაბუკებს — მომავალში უფრო მაღალი შედეგებით გაახარონ გულშემატკივრები.

დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტები

Il Martve di Tbilisi (fotoservizio Rino D'Ostilio)

altra semifinale successo dell'Amatori

neta... Martve

ნუღარ გავაჭიანურებთ!



მაშინ, როცა თბილისში სხვადასხვა კოოპერატივებისა და კომერციული საკომისიოების მშენებლობის ბუმია, სპორტული სამყარო დარბაზების, მოედნებისა და სპორტული კომპლექსების ნაკლებობას განიცდის. ამიტომ ფრიად სასიხარულოა, რომ არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს საბჭოს სხდომაზე, ბოლოს და ბოლოს, დამტკიცდა ვაჟა გელაშვილის ორიგინალური სამდარბაზიანი კრივის კომპლექსის პროექტი. საქმე ისაა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით კომპლექსის მშენებლობისათვის 1984 წლის აგვისტოში დიღმის მასივში გამოყვეს ტერიტორია, მაგრამ 6 წელი დასჭირდა პროექტის დამტკიცებას.

კარგი იქნება, თუ პროექტის დამტკიცებასავით არ გაჭიანურდება კომპლექსის მშენებლობის დაწყება.

მერი დიღმელაშვილი.



მატიანე

იგი მთელი 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტანი და მისი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. ოთარ ქორქიამ დიდხანს პირუთვნელად ზიდა პირველი კალათბურთელისა და ლიდერის ჭაპანი თბილისის „დინამოში". ჯერ კიდევ 1947 წელს მან ასევე გამოჩენილ ქართველ კალათბურთელთან, ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და მას შემდეგ რამდენჯერმე გახდა კონტინენტის ჩემპიონი. 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც ნაკრების კაპიტანმა და ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ვერცხლის მედალი მოიპოვა და საფუძველი ჩაუყარა გუნდის ყველა შემდგომ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე. იგი, ამავე დროს, იყო საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, თასის მფლობელი, მაგრამ უკვე, როგორც თავისი საყვარელი კოლექტივის თავკაცი.

ეს ფოტო, რომელიც თითქმის ოთხი ათეული წლის წინაა გადაღებული თბილისის „დინამოს" სტადიონზე, ერთხელ კიდევ გვახსენებს კალათბურთის დიდოსტატის ბრწყინვალე და დაუვიწყარ თამაშს.

გამოხმაურება წერილზე:

„ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის"

ზ. ასკანელის წერილს — „ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის", უმალვე არ მოჰყოლია გამოხმაურება. ეტყობა, იმ დღეებში, როცა მთელი რესპუბლიკა პირველი მრავალპარტიული არჩევნებისათვის ემზადებოდა, ვერავინ მოიცალა. აი, 5 ნოემბრიდან კი წერილები მოზღვავდა. ბევრი მხარს უჭერს ზ. ასკანელს, ბევრიც ეკამათება. ეს წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ავტორებმა 6 ნოემბერს თავად მოიტანეს რედაქციაში. ჩვენ მას უცვლელად ვბეჭდავთ. აქვე ვაქვეყნებთ მეორე წერილსაც, რომელიც განსხვავებულ აზრს გამოხატავს.

მაშ ასე, „ლელოს" მკითხველებმა გაზეთის ფურცლებზე წამოსწიეს საკითხი — უნდა მივიღოთ თუ არა მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებებში და საერთაშორისო ტურნირებში საკავშირო ნაკრების სახელით? ვიმსჯელოთ და საერთო აზრი გავიხადოთ ორიენტირად.

იხ. გვ. 2—3.

ვაზუსტებთ!

„სპორტლოტო" და შემოსავალი

„ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ვ. ლომაძესთან. ინტერვიუ შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ცენტრის სპორტული ბაზების ჩვენი რესპუბლიკისთვის გადაცემის საკითხს. იქვე საუბარია სპორტლოტოს სახსრების გამოყენებაზე. რედაქციაში გუშინ რამდენიმე კაცმა დაგვირეკა. ზოგიერთმა ისე გაიგო, თითქოს სპორტლოტო „ბაკურიანი-98"-ის შემოსავლის დიდი ნაწილი, მსგავსად საკავშირო სპორტლოტოს გათამაშებისა, ცენტრს მიჰქონდეს. ვაზუსტებთ: სპორტლოტო „ბაკურიანი-98" თამაშდება მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში და მისი მთლიანი შემოსავალი ბაკურიანის კეთილმოწყობას მოხმარდება.

დეპუტატობის კანდიდატი

„ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ანუ უცნაური წინასწარმეტყველი

ალექსანდრე ელენტს სპორტის მოყვარულთა, მით უფრო, „ლელოს“ მკითხველთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ნებსით თუ უნებლიეთ, მან მთელი თავისი ცხოვრება კინოსა და ფეხბურთს დაუკავშირა და „ორი ბატონის“ მსახური დღემდე ახერხებს, ორივეს უერთგულოს და ეთაყვანოს. უკანასკნელ ხანს კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი — პალერმოს XII საერთაშორისო ფესტივალზე გაიმართა ქართული სპორტული ფილმების რეტროსპექტივა და სხვა ქართველ კინორეჟისორებთან ერთად ისიც დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი ჯილდოთი — „ოქროს პალადინით“. ბატონი ალექსანდრე ამ პრიზის, ასე ვთქვათ, ინდივიდუალური მფლობელიცაა — 1988 წელს პალერმოს X საერთაშორისო ფესტივალზე მისი დოკუმენტური ფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ საუკეთესოდ სცნო ჟიურიმ. თუმცა ეს ფილმი მხოლოდ მცირე ნაწილია მისი შემოქმედებისა, რომელშიც სპორტს, კერძოდ, ფეხბურთს, უპირველესი ადგილი უკავია.

ა. ელენტი დღეს ჩვენი სტუმარია, მაგრამ არა როგორც კინორეჟისორი, არამედ, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. იგი კანდიდატად წარადგინა საქართველოს ეროვნულ ლიბერალურმა კავშირმა, უპარტიოა, უფრო „ხელშესახებად“ რომ წარმოვაჩინოთ მისი ნამოღვაწარი, მასთან საუბარი სწორედ წარსულის მოგონებით დავიწყეთ.

● ბატონო ალექსანდრე, ხაზოგადოებრიობა უმთავრესად გაცნობთ, როგორც კინორეჟისორს, კერძოდ, საფეხბურთო თემატიკაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმების ავტორს. რამ განაპირობა თქვენი ასეთი მკვეთრი „გადახრა“ ფეხბურთისაკენ?

— ფეხბურთი ჩემი სიყვარული იყო, არის და იქნება. ზუსტად შეიძლება ვერ გავიხსენო, პირველად როდის დავინტერესდი მისით, სამაგიეროდ, უშეცდომოდ გეტყვით, რომ პირველი ფილმი საფეხბურთო თემაზე — „სტადიონი“ 1980 წელს გადავიღე. სხვათა შორის, ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ იმქამინდელმა თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო. 1984 წელს შეიქმნა ფილმი „გურია! გურია! გურია!“... კვლავ ერთი წელი დამჭირდა ლოდინი და ლანჩხუთის „გურია“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა. 3 წლის შემდეგ მაყურებელმა ჩემი მესამე ფილმი იხილა — „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“. ამ დროს „დინამო“ უმაღლესი ლიგიდან ვარდებოდა, მაგრამ ფილმის გამოსვლისთანავე მკვეთრად გაიუმჯობესა მდგომარეობა. მომდევნო ფილმი იყო „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“. გახსოვთ, ასეთი რუბრიკით ქვეყნდებოდა წერილები „ლელოში“. ერთი წლის შემდეგ რაც მოხდა, თავად მოგეხსენებათ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშირო ფედერაციას, რასაც დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება მოჰყვა. ჩემი მხრივ, ამ დიდ ეროვნულ საქმეს მივუძღვენი ფილმი „პირველი ეროვნული“.

● თქვენ ხაოცარი წინასწარმეტყველების უნარი გქონიათ. ხაინტერესოა ახლა რაზე მუშაობთ?

— ვამთავრებ სცენარს მხატვრული ფილმისას — „ჯავშნოსანი მატარებელი № 200“. ამ ფილმსაც მალე იხილავს მაყურებელი. სხვათა შორის, ფილმი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის თემას ეძღვნება ღმერთმა ქნას, არც ამჯერად შევცდე და კვლავ ერთი წლის შემდეგ ახდეს ჩემი წინასწარმეტყველება.

● თქვენი წერილი „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“, რომელიც „ლელოში“ დაიბეჭდა 1989 წლის 6 ივნისს, შემდეგ რუბრიკად იქცა და დიდხანს არ მოსცილებია გაზეთის ფურცლებს. თქვენი წერილი და რუბრიკა დღესაც ყველას ახსოვს.

— უპირველესად, მადლობა „ლელოს“, რომ დაბეჭდა ეს მეტად დროული წერილი. ხალხს კი ალბათ იმიტომ ახსოვს იგი, რომ ეს წერილი გახდა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის აზრის შემზადების საფუძველი. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი პირველი მერცხალია, სხვებიც მალე „მოფრინდებიან“ და დაგვიდგება გაზაფხული — თავისუფალი საქართველო.

● თქვენ პოლიტიკური ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ კანდიდატი ხართ. 28 ოქტომბერს ჩატარებულ



არჩევნებში ამ ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება ალბათ გაზრდის თქვენს შანსებს.

— ჩემს შანსებზე რა მოგახსენოთ, ისე, მჯერა, ხალხი ბრძენია, მხოლოდ ღირსეულთ უწილადებს ნდობას. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვება სავსებით ლოგიკურია, გაიმარჯვა იმან, ვისაც უნდა გაემარჯვა, სხვაგვარად ვერც წარმომედგინა. მოგეხსენებათ — „ხმა ღვთისა, ხმა ერისაო“ — არც ამჯერად შეცდა მუდამჟამს ბრძენი ქართველი ერი.

● ამჟამად რას საქმიანობთ?

— ვარ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე; ჩემი, ისევე როგორც ფეხბურთის ფედერაციის ყველა მესვეურის, უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად გამოინახოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანების უმოკლესი გზები და სწორედ ამ მიზნით, უახლოეს ხანებში, ჩვენ ვეწვევით კიდეც ფიფა-ს შტაბ-ბინას, პირადად მის პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს.

● ალბათ ახალ პარლამენტში, თუკი მოიპოვებთ ადგილს, თქვენი მოღვაწეობის საკმაოდ დიდ დროს სპორტს დაუთმობთ.

— კინემატოგრაფი და ფეხბურთი განუყოფელი ცნებებია ჩემთვის. თუმცა მარტო ფეხბურთით არ უნდა შემოვიფარგლოთ. უნდა ვეძიოთ სპორტის სხვა სახეობების განვითარების რეალური გზები და პერსპექტივები. ერს ჯანსაღი შვილები სჭირდება, როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურად ჰარმონიული პიროვნება ყველა წინაღმდეგობას გადალახავს. ამაზე ასგზის თქმულა და არც ახლა უნდა დავიზიწყოთ. მივესალმები მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის შექმნას.

რაც შეეხება კინემატოგრაფს, აქაც ეროვნული სულით გაჟღენთილი ფილმები უნდა მისცე ხალხს, და რაც მთავარია, თანადროულად.

ესაუბრა ლევან ჯაბახიშვილი

გზა თავისუფლებისაკენ სპორტზე გადის!

24 ოქტომბრის გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა ზ. ასკანელის სტატია „ქართული სპორტის სუვერენიტეტისთვის“. მასში გამოთქმული იყო მოსაზრება — „საქართველო თავისი დამოუკიდებელი გუნდით უნდა გამოდიოდეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, უნივერსიადებზე და ოლმპიადებზე. არაფერი დაშავდება, თუ ამ მიზნის მისაღწევად სპორტის ყველა სახეობაში ფეხბურთივით წინ გავასწრებთ პოლიტიკურ ცხოვრებას!... არც ერთი ქართული გუნდი აღარ უნდა გამოვიდეს შეჯიბრებაში, რომელიც ძალადობით შექმნილი კავშირის — საბჭოთა კავშირის ეგიდით ჩატარდება და რომელსაც საბჭოთა კავშირის თუნდ ღია, თუნდ დახურული ჩემპიონატი, თასი ან სპარტაკიადა ერქვას“.

ფრიად საგულისხმოდ და ყურადსაღებად მიგვაჩნია ავტორის იდეა. როგორც ცნობილია, დღეისათვის, ქვეყანა, რომელსაც „საბჭოთა კავშირი“ ეწოდება, ერთნაირად არის ჩამორჩენილი ცხოვრების ყველა სფეროში, თითქმის აღარაფერი დარჩა საამაყო და თავმოსაწონი.

და მაშინ, როდესაც ე. წ. „საბჭოთა ადამიანს“ თავი არსად გამოეყოფა, ერთადერთ გამონაკლისად ჩაჩება სპორტი! საბჭოთა სპორტს მართლაც აქვს გარკვეული წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ, რომელი რესპუბლიკის წარმომდგენელიც უნდა იყოს სპორტსმენი, მას რუსეთის სახელით უწევს გამოსვლა და ყველა წარმატება, სულერთია ქართველისა იქნება ის, ლიტველისა თუ უკრაინელისა, მითიურ „საბჭოთა სპორტს“ მიეწერება. ამით უკანასკნელი საყრდენი უმტკიცდება იმპერიული ერთიანობის იდეას. შეიძლება გადაჭარბებულად ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებულნი — საკმარისია ეს დასაყრდენი (სპორტი!) გამოვაცალოთ იმპერიას, ჩამოვაკლოთ „საბჭოთა კავშირის“ დროშის ქვეშ მოპოვებული გამარჯვებები, რომ რამდენადმე დაჩქარდება საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რღვევაც!

სხვათა შორის, ამას ცენტრშიც მშვენივრად გრძნობენ და ამიტომაც თავდაუზოგავად ცდილობენ რესპუბლიკათა სპორტული ფედერაციების შენარჩუნებას თავიანთი მბრძანებლობის ქვეშ, ხოლო მათ მცდელობათა საპირისპიროდ ჩვენ ვეთანხმებით სტატიის ავტორის აზრს, რომ ქართველმა სპორტსმენებმა უკვე მომავალ წელსვე თქვან უარი საბჭოთა კავშირის პირველობებში თუ საბჭოთა ნაკრებებში მონაწილეობაზე.

თუმცა გვსურს მცირედი კორექტივიც შევიტანოთ — ჩვენი სურვილია, მომავალი წლიდან კი არა, წელსვე დავნერგოთ მსგავსი პრაქტიკა. სამაგალითოდ ჭადრაკიც შეგვიძლია ავიღოთ: ცნობილია, რომ ქალთა საჭადრაკო ნაკრები იწყებს მზადებას ოლიმპიადისათვის. ჩვენი ღრმა რწმენით, თუ საქართველოს სახელით არ მიეცემათ გამოსვლის უფლება, ქართველმა მანდილოსანმა მოჭადრაკეებმა: მაია ჩიბურდანიძემ, ნონა გაფრინდაშვილმა და ქეთევან არაზამიამ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში!

ჩვენი მხრიდან მეტისმეტი სითამამე რომ არ დაგვწამონ, გვსურს ქართველი საზოგადოების წინაშე დავაყენოთ საკითხი — რას ფიქრობს იგი. უნდა მიიღონ თუ არა ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა შეჯიბრებებში იმპერიის სახელით?

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სახელით:

თეიმურაზ ხულაშვილი,
რევაზ ლაგვილავა,
არჩილ ასათიანი

თუ გამოაქვეყნებთ, კარგია, თუ არა, თქვენ მაინც წაიკითხეთ

მუდამ ვიყავი და ვიქნები ქართული სპორტის გულშემატკივარი. 23 წელიწადია თვალყურს ვადევნებ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას ყველა რანგის შეჯიბრებებში და, თუ არ მიწყენთ, მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ზ. ასკანელის წერილთან დაკავშირებით. მე მესმის იმ ავტორებისა, ვინც ასეთ წერილებს წერს, ისინი უეჭველად პატრიოტები არიან, მაგრამ წერილის შინაარსში ზოგჯერ რატომღაც ვიღაცის მიმართ ჯიბრი და ემოციები უფრო იგრძნობა. რომელი ქართველი არ შეიძლება იყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და აქედან გამომდინარე დამოუკიდებელი ქართული სპორტის მომხრე? დაგიხარია, ეს კარგია, მაგრამ დღეს თუ ქართველი სპორტსმენები გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, განა იმიტომ, რომ ისინი იმპერიის მონები არიან (მოდით, შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ ჩვენს სათაყვანებელ სპორტსმენებს), არამედ იმიტომ, რომ სურთ შეინარჩუნონ ქართული სპორტის ტრადიციები, რომ თავისუფალ საქართველოში ყველაფერი თავიდან არ დავიწყოთ. მე საუბარი მქონდა რამდენიმე ცნობილ სპორტსმენთან და ვთხოვე გამოეთქვათ თავისი აზრი. „რას ამბობ, ათი თავი ვის აქვს, მტრად გამოგვაცხადებენო“. რატომაა ასეთი შიში? თურმე სპეციალისტებიც ამგვარად ფიქრობენ და თავს იკავებენ. ეს უკვე დემოკრატია აღარ არის. ერთმა სპორტსმენმა მითხრა ჩვენი სათქმელი მინიშნებით გამოთქვა ნანა ალექსანდრიამ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში. სხვებმაც გამოთქვან თავიანთი აზრი, ამის წინააღმდეგი ვინ იქნება ან რატომ უნდა იყოს?

მე ვიცი, ეს ძალზე მწვავე საკითხია. ადამიანების ბედთან და, ბოლოს და ბოლოს, მათ საარსებო წყაროსთან გვაქვს საქმე. სპორტი დღეს მხოლოდ ვარჯიში და თავგასართობი შეჯიბრება ხომ არ არის ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. ისიც მომისმენია სპორტსმენებისგან და მწვრთნელებისგან, რაღა ყველა ჩვენგან მოითხოვს მსხვერპლს, თუ იმპერიისგან გამოსვლაა, ყველა ერთად გამოვიდეთ — სპორტიც, ხელოვნებაც, მეცნიერებაც, მედიცინაც, მრეწველობაც, რკინიგზაც, სამინისტროებიც და ბოლოს მთავრობაც, პარტიაც.

გული მტკივა, რომ „ლელო“, რომელიც სპორტის და სპორტსმენთა ინტერესებს უნდა იცავდეს, ხშირად ცალმხრივად აშუქებს ასეთ საკითხებს და აშკარად იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც ქართული სპორტის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე საბოლოო შედეგის გაუთვალისწინებლად მსჯელობს. პირდაპირ გეტყვით, „ლელო“ ხელს უწყობს, რომ სპორტი წინ უსწრებდეს პოლიტიკას. ეს დანაშაულია. მე არც ფეხბურთის გამოყოფის მომხრე ვიყავი, მაგრამ ფეხბურთს კიდევ შეუძლია შეინარჩუნოს სპორტული დონე, სხვა რომელ სახეობას დამისახელებთ, რომ სრულფასოვანი ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდეს? ალბათ, ვერც ერთს, ამაზეც უნდა დაფიქრდეს გაზეთი.

მგონი იმდენი რამ გითხარით საწყენი, რომ ამ წერილს დღის სინათლე არ ეღირსება. თქვენ ხომ მაინც წაიკითხავთ.

ს. მაღლაკელიძე,
რიგითი ინჟინერი, სპორტის დიდი მოყვარული, რითაც ვამაყობ კიდეც.

რედაქციისაგან: თბილისელი ინჟინრის და ქართული სპორტის ქომაგის ამ წერილის კომენტარს არ ვაპირებთ. მკითხველმა თავად განსაჯოს. ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ მთლიანად ეთანხმებით ავტორს, როცა იგი ბრალს სდებს სპორტსმენებს და სპეციალისტებს ინერტულობაში. გაზეთს ბევრჯერ (სხვადასხვა საკითხზე) კომპეტენტურობისთვის მიუმართავს სპორტის სამყაროს მუშაკებისთვის, მაგრამ, ახლოსაც არავინ გაგვკარებია. ამის შემდეგ იოლია (ცხადია, თუ მოიხუჭავენ) გაზეთს ტენდენციურობა დასწამო.

ხელოვნებაც, სპორტიც...

„სპორტული რეჟისორი“

„შვიდმა სიმმა ნალეკა თბილისი“ — პოეტიკურად წარმოთქვამდა ესტრადიდან დიდებული ვახო გოძიაშვილი ერთ-ერთი მუსიკალური ფელეტონის შესრულებისას.

„ნიაღვარს“ არც 14 წლის ოთარ ღვაბერიძე გადაურჩა, რომელიც ახლა ჩვენს წინ ზის და გვიამბობს თავის ახალგაზრდულ გატაცებაზე — ქართულ სიმღერასა და გიტარაზე. სიყვარულით იგონებს მეგობრებს, ნარსულს.

ბევრი, ძალზე ბევრი ტკბილხმოვანი ჰანგით დაატკბო ოთარ ღვაბერიძემ მადლიერი მსმენელი თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქების საკონცერტო დარბაზებში, სანამ ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მოსკოვიდან თბილისში ო. ღვაბერიძე 1979 წელს ჩამოვიდა ესტრადისა და მასობრივი დადგმების რეჟისორის დიპლომით.

სპორტსაც ყმაწვილი ეზიარა. ოთარი ჯერ „ნორჩ დინამოელში“ მეცადინეობდა გრიგოლ გაგუასთან და ასატურ გუკასიანთან, მერე კი სახელგანთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა ცნობილი მწვრთნელების ვლადიმერ გვარჯალაძის, ჯონდო მაკედიას, ოტია ჟორდანიას ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდა მარჯვენა ინსაიდს საკმაოდ ნიჭიერ ფეხბურთელად და პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევდნენ.

— ჩემი იდეალი, ავთანდილ ღოღობერიძე იყო, რომლის თამაში არ გამიცდენია, მის ვარჯიშზეც დავდიოდი. შეიძლება ითქვას, დაუვიწყარი ბასა ტექნიკის სრული განსახიერება გახლდათ, ფეხბურთელის ეტალონი. სულიერად მაღალი პიროვნება. მისი თამაში ჩემთვის მუდამ დიდი ზეიმი იყო, თუ შეიძლება უფრო ჩვეული ტერმინი ვიხმარო — სოლო კონცერტი. და განა მარტო ღოღობერიძე? განა უდიდესი ხელოვნება არ იყო ნინო დუმბაძისა და ელენე გოკიელის, ლევან სანაძის, ნადეჟდა დვალიშვილის, რობერტ შავლაყაძის, ვიქტორ სანეევის ასპარეზობა მძლეოსნურ სექტორებსა და სარბენ ბილიკზე? ანდა, ვახტანგ ბალავაძის, გივი კარტოზიას, ვლადიმერ რუბაშვილის ჭიდაობა? ბევრმა შეიძლება დღეს არც იცის, ვოვა რუბაშვილი რომ ჩვენთან, 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა. ასევე შეუდარებელი იყო, დამერწმუნებით, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე. ყოველ მათგანზე ნამდვილი ხელოვანი და დიდოსტატი, ამასთან, რაინდი და სამაგალითო ადამიანი ითქმის. წაგვიგია კიდეც თამაში, მაგრამ სტადიონიდან მაინც ნასიამოვნები ვბრუნდებოდით. რას იზამ, შეიძლება იმ დღეს უბრალოდ, არ გაგვიმართლა, ფორტუნა შეტოქეს მხარეზე იყო, მაგრამ ხომ მართლაც შესაშური სპექტაკლის, დიდი ხელოვნების მოწმენი ვიყავით მთელი 90 წუთი! თუმცა თავად სპორტსმენი არ გავხდი, საბოლოოდ ესტრადის სიყვარულმა გადამძლია, მაგრამ, მერწმუნეთ, სპორტი, უმთავრესად კი ფეხბუ-

ს ბ ო ლ ო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

„ხაპოვნელა“ (თერჯოლა) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 2:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: უკლება, ჩინჩალაძე („ხაპოვნელა“).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილეს ვ. გეგეშიძე (ფიზკ. ინსტ.).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „არმაზი“ (მცხეთა) 1:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ყარლავაშვილი, სოლოლაშვილი („არმაზი“), ჩხეიძე (ტექ. უნივ.).

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გაფრთხილეს გ. ოქროპირიძე (ტექ. უნივ.).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი). გოლი: კევლაშვილი („ალაზანი“).

მსაჯთან შეკამათებისათვის გაფრთხილეს მ. ღონღლაძე („მარგვეთი“).

„მაღაროელი“ (ცაგერი) — „ჩიხურა“ (ხაჩხერე) 1:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლი: ერაძე („მაღაროელი“).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილეს ა. გაბრიჭიძე („ჩიხურა“). ერთმანეთთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან დ. გოცაძე („მაღაროელი“) და ვ. თურმანიძე („ჩიხურა“). მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მოედნიდან გააძევეს ა. ასათიანი („ჩიხურა“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „სულორი“ (ვანი) 2:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი), გოლები: აშბა, გოგმაჩაძე („შუქურა“), პაიკიძე, ვერულაშვილი-2 („სულორი“).

„იმერეთი“ (ხონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი). გოლები: თვალაბეიშვილი, ციხკაძე-2 („იმერეთი“), ჩეკუნოვი, მორგოშია („სქური“).

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გაფრთხილეს პ. ქაროსანიძე („იმერეთი“), ერთმანეთის მიმართ უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან მ. სანოძე („იმერეთი“) და ვ. კვირტია („სქური“), მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მოედნიდან გააძევეს რ. მაქაცარია („სქური“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:3. მსაჯი ხ. შალამბერიძე (თბილისი). გოლები: ტაბლაშვილი („ქართლი“), ჯიქია, ციმაკურიძე, ახალაია („სამეგრელო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სიხარული-90“ (ბაგრა) 3:1. მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი). გოლები: გაგნაშვილი, თედეშვილი-2 („ბახტრიონი“), პაჭკორია („სიხარული-90“).

„დურუჯი“ (უკარელი) — „ხიონი“ (ბოლნისი) 5:3. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: ელიზბარაშვილი, კლიშაულკანი-2, ქაფიანიძე, ქარცანაშვილი („დურუჯი“), ჯაგოვი-3 („ხიონი“).

„კახეთი“ (თელავი) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:2, მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: მაღრაძე, ჯაშიაშვილი, ჭვრიტიძე („კახეთი“), წიკლაური, მიმინოშვილი („არაგვი“).

გაცხადებების ცხრილი

მდგომარეობა XXXV ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ხულორი“ (ვანი)	35	25	4	6	81—50	79
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	35	25	3	7	87—38	78
„ალაზანი“ (გურჯაანი)	35	24	4	7	68—31	76
„კახეთი“ (თელავი)	35	19	7	9	65—39	64
„არაგვი“ (დუშეთი)	34	14	11	9	54—49	53
„სიხარული-90“ (ბაგრა)	35	15	4	16	63—50	49
„იმერეთი“ (ხონი)	34	14	7	13	43—50	49
„ქარცანი“ (ზორის რ-ნი)	35	14	5	16	55—52	47
„შუქურა“ (ქობულეთი)	35	11	13	11	52—55	46
„ხაპოვნელა“ (თერჯოლა)	35	13	6	16	46—50	45
„მაღაროელი“ (ცაგერი)	35	13	6	16	52—63	45
„სქური“ (წალენჯიხა)	35	12	6	17	64—68	42
„ჩიხურა“ (ხაჩხერე)	35	12	6	17	42—58	42
„ხიონი“ (ბოლნისი)	35	11	9	15	68—71	42
„არმაზი“ (მცხეთა)	35	11	9	15	49—63	42
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	35	9	14	12	45—48	41
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	35	10	9	16	45—67	39
ხტუ	35	11	1	23	45—81	34
„დურუჯი“ (უკარელი)	35	10	4	21	46—62	34
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	35	8	8	19	34—59	32

„ქარიშხალაში“, 17 ნოემბერს...

17 ნოემბერს სპორტულ კომპლექს „ქარიშხალაში“ იწყება თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნების შორის. ადრე ეს ტურნირი თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით იმართებოდა, შემდეგ კი, ცხადია, სათუო გახდა მისი ჩატარება. სპორტის ამ სახეობისა და მისი მრავალი გულშემატკივრის მშველელად მოგვევლინა მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა „ნარიყალა“, რომელმაც იკისრა ტურნირის ორგანიზატორის როლი. ამ საქმეში მას აქტიურად დაეხმარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კერძოდ, მისი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელმაც იზრუნა მსაჯთა ბრიგადის დანიშვნისა და მრავალი სხვა ორგანიზაციული საკითხის მოსაგვარებლად. ასევე მადლობის სიტყვებს იმსახურებს „ქარიშხალას“ დირექცია.

1 ნოემბერს ჩატარდა წილისყრა. გუნდები 4 ქვეჯგუფში შემდეგნაირად განაწილდნენ. **I ჯგუფი:** ფონიჭალა, „პორტო ფინო“ (ვაკე), ვერა, ნავთლული, ნაძალადევი-2, დიღუბე; **II ჯგუფი:** ოქროსუბანი, ვაკე, დიღომი, ჩუღურეთი, დიღუბე-3, ბეტონი; **III ჯგუფი:** ნაძალადევი-1, გლდანი, ნაძალადევი-3, „ქარიშხალა“, საბურთალო-2, ალმაშენებელი, საბურთალო-3. **IV ჯგუფი:** საბურთალო-1, საბურთალო-5, დიღუბე-2. საბურთალო-4, ვაჟა ფშაველა, „ABV“.

შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდება. პირველი წრე გამოავლენს ქვეჯგუფებში პირველ 4 ადგილზე გასულ 16 გუნდს, რომლებიც შემდგომ ეტაპზე განაგრძობენ ბრძოლას.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური ფულადი პრიზები, აგრეთვე — პრიზები საუკეთესო ფეხბურთელთათვის.

შეხვედრები დაიწყება 17 ნოემბერს და გაგრძელდება ყოველ შაბათ-კვირას, დილის 10 საათიდან.

ვიხელ აბაიშვილი

„ბომბი“ მარადონასათვის

განვლილ ორშაბათს, გვიან ღამით, ცნობილი ფეხბურთელის დიეგო მარადონას სახლში, რომელიც ნეაპოლის ერთ-ერთ რაიონში მდებარეობს, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. უცნობმა პირმა მასპინძლებს აცნობა, რომ მარადონას სახლის სარდაფში ჩადებულია ბომბი. ამ ცნობამ, რა თქმა უნდა, დიდი ალიაქოთი გამოიწვია, მაგრამ ყველფერი ტყუილი გამოდგა.

მეორე დილით დიეგო მარადონას ეწვია აქაური კლუბის „ნაპოლის“ ორი წარმომადგენელი, რომლებმაც ფეხბურთელს პროტესტი განუცხადეს იმის თაობაზე, რომ მას არ სურს მოსკოვში გაემგზავროს ევროპის ჩემპიონთა თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩზე „სპარტაკთან“ სათამაშოდ. მარადონას მეუღლემ კლაუდიამ გულშემატკივრებს შეატყობინა, რომ დიეგო მოსკოვს გაემგზავრება კერძო თვითმფრინავით და, მისი სიტყვებით, ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ მოსკოვის აეროპორტმა გაამზადოს დასაფრენი ადგილი ამ თვითმფრინავის მისაღებად.

რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი უცნაური დაძაბულობა მარადონასა და მის გულშემატკივრებს შორის? გაზეთებს სხვადასხვა ჰიპოთეზა მოჰყავთ, ხოლო რაც შეეხება არგენტინელი ფეხბურთელის მენეჯერს მარკო ფრანკის, მან გაანაცხადა, რომ დიეგოს უბრალოდ, არ სურს მოსკოვში თამაში.

„ნაპოლის“ ხელმძღვანელებმა, ეტყობა, გადაწყვიტეს არ დაჰყოლოდნენ მარადონას ჭირვეულობას და განაცხადეს, რომ მის მიმართ ამჯერად მკაცრ სანქციებს მიმართავენ, ხოლო მწვრთნელმა ა. ბიგონიმ ისიც თქვა, რომ მინდორზე გამოვლენ მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდთან ერთად ჩავლენ მოსკოვში.

და, მაინც, როგორც სამშაბათს საღამოთი გამოაცხადა იტალიის ანსა-ს საგენტომ, მარადონა კერძო თვითმფრინავით გაემგზავრა მოსკოვს. როგორც გამოირკვა, არგენტინელმა ფეხბურთელმა უკვე იცოდა „ნაპოლის“ მწვრთნელის განზრახვა, თვითმფრინავში ჩაჯდომისას მან განაცხადა. რომ მოსკოვს მიემგზავრება „მხოლოდ და მხოლოდ როგორც გულშემატკივარი“. — მე მონაწილეობას არ მივიღებ თამაშში, — თქვა მან. — კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემი მისამართით უკვე გამოთქვა ის, რაც სურდა, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო მერვედფინალური შეხვედრა ადგილობრივი „სპარტაკისა“ და იტალიის „ნაპოლის“ ფეხბურთელთა შორის. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 0:0. პენალტებით გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 5:3.

პირველი მეოთხედფინალისტი

მიუნხენის „ბაიერნი“ (გფრ) პირველი გუნდია, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის ამჟამად მიმდინარე გათამაშებაში მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება. „ბაიერნმა“ მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა ბულგარეთის ჩემპიონს „სრედეცს“ სოფიაში მოუგო ანგარიშით 3:0, გერმანელ ფეხბურთელებს მოგებული ჰქონდათ პირველი მატჩიც — 4:0.

პიტერ შილტონი ეთხოვება ფეხბურთს

18 დეკემბერს ლონდონის „ტოტენჰემის“ სტადიონზე გაიმართება ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების შეხვედრა, ამ დღეს ცნობილი ინგლისელი მეკარე პიტერ შილტონი გამოეთხოვება საფეხბურთო მინდორს.

ინგლისელთა 40 წლის მეკარემ

7 ივლისს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დაამყარა ეროვნულ გუნდში გამოსვლების მსოფლიო რეკორდი, ინგლისის ეროვნულ ნაკრებში თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე მან 125 მატჩი ჩაატარა. პ. შილტონი ამჟამად მინდორზე კამოდის თავისი კლუბის „დერბი ქაუნთის“ შემადგენლობაში.

მსოფლიოს ნაკრებს ამ მატჩისთვის მოამზადებს ფრანც ბეკენბაუერი, ხოლო ინგლისისას — მისი ახლანდელი მწვრთნელი გრემ ტეილორი. კორესპონდენტებთან საუბარში ტეილორმა განაცხადა. რომ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში იგი უმთავრესად იმ ფეხბურთელებს მიიწვევს, რომლებიც შილტონთან ერთად თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

• • •

● **ესპანეთის** პირველობაში წელს არაერთი ცნობილი უცხოელი ოსტატი ჩაერთო. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტს წერენ 21 წლის არგენტინელ ფერნანდო კარლოს რედონდოზე. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ სესარ ლუის მენოტმ რედონდოს მარადონას შემდეგ ყველაზე ნიჭიერი არგენტინელი ფეხბურთელი უწოდა. საინტერესოა თვით ფეხბურთელის ბუნება და ხასიათიც. წელს მან უარი უთხრა ბილარდოს მსოფლიო ჩემპიონატში გამგზავრებაზე, ვინაიდან სურდა, უნივერსიტეტი დროზე დაემთავრებინა. ახლა იგი თავისუფალია და მომდევნო სეზონს „ტენერიფეში“ გაატარებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფეხბურთელს არ ჰქონდა კონტრაქტი დადებული თავის ყოფილ გუნდთან „არგენტინოს ხუნიორსთან“, ამიტომ ესპანელებმა იგი პრაქტიკულად უფასოდ „მიიღეს“.

● **ორი წლის** წინ მაქსიმ ბოსი გამოეთხოვა ფეხბურთს. მანამდე მას 79-ჯერ ეცვა ნაკრების მაისური, იყო ევროპის ჩემპიონი, სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. და აი, 35 წლის „მაქსი“ დაუბრუნდა ფეხბურთს. „ნანტის“ პრეზიდენტმა მაქს ბოიემ თხოვნით მიმართა ბოსის დახმარებოდა მშობლიურ კლუბს. „ეკიპის“ აზრით ბოსი დღესაც დიდებულად თამაშობს.

● **არგენტინულ** გაზეთ „პაჯინა 12-ში“ გამოჩნდა ცნობა, რომელმაც გააოცა ფეხბურთის მოყვარულნი. ორი გერმანული ფედერაციის გაერთიანებამ წარმოშვა აბსურდული იდეა არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების გაერთიანების თაობაზე. ამ გუნდმა უნდა ჩაატაროს მატჩები იტალიის, ინგლისისა და გერმანიის გუნდებთან. გაზეთი აღნიშნავს, რომ იდეა განუხორციელებელია, ვინაიდან არგენტინა და ბრაზილია მუდამ ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. თანაც ამ ქვეყნების ხალხს არაფერი აქვთ საერთო.

● **როგორც** იცით, ფარერის კუნძულების გუნდთან სენსაციური მარცხის შემდეგ, ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მისი ადგილი დაიკავა ალფრედ რიდლმა. ახლახან რიდლის თანაშემწედ დაინიშნა წარსულში ცნობილი მეკარე 42 წლის ფრიდლ კონსილია.

● **ფინანსური** კრიზისის გამო ჩაშლის წინაშეა პერუს ეროვნული ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილე 40 კლუბიდან უკვე გაკოტრდა და შეწყვიტა არსებობა ნახევარმა. სხვა გუნდებიც მძიმე მდგომარეობაში არიან.

(სპ. ინფ.).

არგენტინის ნაკრების ახალი მწვრთნელი

ჯერ კიდევ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ კარლოს სალვადორ ბილარდო აღარ განაახლებდა კონტრაქტს არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებთან. მის შემცვლელებად რამდენიმე კანდიდატს ასახელებდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი შანსი, წინასწარი მონაცემებით, ჰქონდა „რივერ პლეიტის“ მწვრთნელს დანიელ ალბერტო პასარელას.

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი პასარელა მწვრთნელის ამპლუაშიც იღბლიანი აღმოჩნდა. წლეულს „რივერი“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა და „ლიბერტადორესის თასის“ ნახევარფინალშიც გავიდა. ერთადერთი, რაც მის წინააღმდეგ მეტყველებდა, იყო დიეგო მარადონასთან რთული ურთიერთობა. 1986 წელს პასარელამ გადაულოცა კაპიტნობა მარადონას, თვითონ კი ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში, თუმცა ნომინალურად მაინც დაჯილდოვდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით. მაშინ მან გააკრიტიკა ბილარდო და არგენტინის ნაკრების თამაშის სტილი, რითაც მარადონასთან გაიფუჭა ურთიერთობა.

პასარელასთან ერთად ნაკრების სავარაუდო ხელმძღვანელებად ასახელებდნენ ბილარდოს თანაშემწეს კარლოს პაჩამეს; ლუის სესარ მენოტის და „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელ კარლოს აიმარს.

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ამოტივტივდა კიდევ ერთი კანდიდატურა — ალფიო ბაზილე ბუენოს-აირესის „რესინგიდან“. მას მხარი დაუჭირა ამ კლუბის პრეზიდენტმა ხუან დესტეფანომ, რომელიც ამავე დროს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. მენოტემ უკვე ივნისში განაცხადა უარი ნაკრებში დაბრუნებაზე და მონტევიდეოს „პენიაროლში“ დაიწყო მუშაობა. თანდათან დაკარგეს შანსები პაჩამემ და აიმარმაც. საბოლოოდ დარჩა ორი კანდიდატი ბაზილე და პასარელა. ამ უკანასკნელმა მხარდაჭერა ქვეყნის პრეზიდენტ კარლოს მენემს სთხოვა, მაგრამ პრეზიდენტმა საქმეში ჩარევა არ ისურვა. ყველაფერი ისევ მარადონას სიტყვამ გადაწყვიტა, როდესაც განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებო. გულშემატკივრებიც და ფუნქციონერებიც მიხვდნენ, რომ პასარელას არჩევის შემთხვევაში მარადონას დაბრუნება გუნდში, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ეროვნული გუნდის ბედი ალფიო ბაზილეს ჩააბარეს.

ბაზილემ პირველსავე ინტერვიუში აღუთქვა ფეხბურთის მოყვარულებს, რომ ყველა ძალას იხმარდა მარადონას დასაბრუნებლად. ამავე დროს მან ასე დაახასიათა თავისი სამუშაო კრედო: „მე არც „მენოტისტი“ ვარ და არც „ბილარდისტი“. თუ გნებავთ „ბაზილისტი“ დამიძახეთ. ვეცდები გამოვნახო ოპტიმალური თამაშის მანერა: არც დაცვითი (ბილარდოს ვარიანტი) და არც ზედმეტად რომანტიული (მენოტი). რაც შეეხება თვით ბილარდოს, მიმაჩნია, რომ მისი მდიდარი გამოცდილება ჯერ კიდევ სჭირდება გუნდს“.

ორიოდე სიტყვა ახალ მწვრთნელზე: ალფიო ბაზილე დაიბადა 1944 წელს ბაია ბლანკაში. 60-70-იან წლებში თამაშობდა ლიბეროდ „ჰურიკანში“ და „რესინგში“. იყო არგენტინის ჩემპიონი 1966 წელს, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1967 წელს. წვრთნიდა არგენტინისა და ურუგვაის კლუბებს. ბოლო გუნდი — „რესინგი“ ბაზილეს ხელმძღვანელობით გახდა სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელი. 1978 წელს ეხმარებოდა მენოტის მსოფლიო პირველობისათვის მზადების პერიოდში.

და კიდევ ერთი ცნობა: ბაზილეს კონკურენტი დანიელ პასარელა განაწყენებული მიემგზავრება იტალიაში, სადაც აპირებს კარიერის გაგრძელებას. უცხოური პრესის ცნობით, მას ეპატიჟება მისი ძველი მეგობარი ჯანკარლო ანტონიონი, რომელიც ახლა „ფიორენტინას“ მეორე მწვრთნელია.

(სპ. ინფ.).

„სპორტული რეჟისორი“

(დასასრული)

რთი, მთელი ჩემი ცხოვრების, სულის შემადგენელი ნაწილი გახდა. სპორტი მართლაც დიდი ხელოვნებაა და მუდამ შეუდარებელ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს.

სწორედ სპორტის უზომო სიყვარულმა, მისი ნიუანსების კარგმა ცოდნამ განაპირობა ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის რეჟისორი ოთარ ღვაბერიძე სულ უფრო ხშირად გვევლინება სხვადასხვა სპორტული საღამოების, შეხვედრების, შოუ-სპექტაკლების დამდგმელ რეჟისორად და ავტორად. საკმარისია ითქვას,რომ იგი - მიწვეული იყო მოსკოვის „ოლიმპიადა-80“-ის კულტურული პროგრამის დამდგმელად საკონცერტო დარბაზ „როსიაში“, რაც დასასრულს საპატიო დიპლომის გადაცემით აღინიშნა. ო. ღვაბერიძეს ეკუთვნის საქართველოს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალის დადგმა. მისი რეჟისორობით დაიდგა საქართველოში პირველი სპორტული შოუ-სპექტაკლი თბილისის სპორტის სასახლეში (აშშ-ის პროფესიონალ და საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრისას), შოუ-სპექტაკლი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელშიც როლებს თავად სპორტსმენები ასრულებდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ კიდევ: საზეიმო შეხვედრა სეულის ოლიმპიადაში მონაწილე ქართველ სპორტსმენებთან, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 65-წლისადმი მიძღვნილი საღამო, დინამოელი ფეხბურთელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალები, ბორის პაიჭაძის 70-წლისთავის საიუბილეო საღამო და სხვა. დაუმატეთ ამას, ასე ვთქვათ, არასპორტული ღონისძიებანიც — გალა-კონცერტები, ამა თუ იმ ანსამბლების საღამოები, პოეზიის დღესასწაულები, თეატრალიზებული დადგმები. ყოველ მათგანში რეჟისორმა ჩადო თავისი გული, მდიდარი ფანტაზია, დიდი პროფესიონალიზმი, მაღალი პასუხისმგებლობა, სიყვარული და ცოდნა, ერთი სიტყვით, რეჟისორ ოთარ ღვაბერიძეს მართლაც ვერ ნახავთ მოუცლელს.

აი ახლაც, იგი ისევ საყვარელ საქმეშია, რომ იტყვიან, ჩაფლული — მალე თბილისის სპორტის სასახლე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს ქართულ ჭიდაობაში. სტუმრებს იაპონიიდან, თურქეთიდან, ბულგარეთიდან, ისრაელიდან ხომ უნდა ვაჩვენოთ ჭიდაობა ჩვენი ქართული, „შეზავებული“ ლამაზი სანახაობით.

ერთი დიდი ოცნება აქვს „სპორტულ რეჟისორს“ — დადგას დამოუკიდებელი საქართველოს სადიდებელი დიდი სპორტული ზეიმი-



ოთარ ღვაბერიძე

სანახაობა თეატრის, ესტრადის, კინოს, სპორტის „მონაწილეობით“. სულ ერთია, სად იქნება იგი — ფილარმონიის დიდ დარბაზში, სპორტის სასახლეში თუ ეროვნულ სტადიონზე, დღეს რომ ღირსეული ადამიანის, ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახელს ატარებს. მაგრამ უმჯობესია, სიტყვა თვითონ ოთარ ღვაბერიძეს შივცეთ:

— დღეს საქართველო დამოუკიდებლობისათვის, ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის იბრძვის. ალბათ, მალე დადგება ნანატრი დღეც! ახლა, როდესაც დემოკრატიაში „ვდგამთ ფეხს“, ქართველებს მოგვეთხოვება განსაკუთრებული მაღალი ზნეობა და კულტურა. ერთმანეთის მხარდამხარ დადგომა და ერთად ქმედება, მეტი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ჩვენ ხომ ახალ, თავისუფალ საქართველოს ღირსეული შვილობა უნდა გავუწოთ.

დიახ, ეს დღე მალე დადგება და ნიჭიერი რეჟისორი ოთარ ღვაბერიძე, რომელსაც დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და უტყუარი გემოვნება აქვს, კიდევ უფრო მეტად გაგვახარებს ხელოვნებისა და სპორტის სინთეზური, ჩვენი ხალხის საკადრისი, საზეიმო სანახაობებით.

ოთარ ნოზაძე

ისტორია

განმეორდა

ევროპაში სტუმრად მყოფმა ახალი ზელანდიისა და არგენტინის გუნდებმა გასულ კვირაში მორიგი ორ-ო�თამაში გამართეს.

შუა კვირაში არგენტინელმა „პუმებმა“ მეორე შემადგენლობით ქემბრიჯში სძლიეს ინგლისის აღმოსავლეთი საგრაფოების ნაკრებს — 28:15, ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა“ კი ტურნეს მეხუთე შეხვედრაში მეორედ წააგო — ამჯერად ქალაქ ბეიონში, საფრანგეთის ბასკეთის ნაკრებთან — 12:18.

შაბათს ორივე სტუმარმა ტესტ-მატჩები გამართა. „პუმები“ თვიქნემში ინგლისელებს ეთამაშნენ და გამანადგურებელი ანგარიშით — 0:51 დამარცხდნენ. ინგლისელებმა ამ შეხვედრაში შვიდი ლელო გაიტანეს: გარემარბმა რ. ანდერვუდმა — სამი, შუამარბმა ვასქოთმა —ორი, მესამე ხაზის ფრთის მორკინალმა ჰოლმა და შერკინების ნახევარმცველმა ჰილმა — თითო. მცველმა ჰოჯქინსონმა შვიდივე ლელო გარდასახა და კიდევ სამი საჯარიმო შეაგდო. მუშტი-კრივის გამართვის გამო მსაჯმა მოედნიდან არგენტინელი ბურჯი მენდესი გააძევა.

„ოლ ბლექსი“ ნანტში ფრანგებს ეთამაშა. ოთხი წლის წინ, 1986 წლის ნოემბერში, სტუმრებმა ფრანგებთან სწორედ ამ ქალაქში წააგეს, შემდეგ კი წლევანდელ აგვისტომდე დაუმარცხებლად ითამაშეს. ამჟამად ახალზელანდიელთა გუნდი ის აღარაა, რაც უწინ იყო; ტურნეზე წაგებულ ორ თამაშს თან ისიც დაერთო, რომ კოჭის ტკივილის გამო „ოლ ბლექსის“ შერკინებას მისი ლიდერი, ზინზან ბრუქი გამოაკლდა — იგი ფრთის მორკინალმა ბრუერმა შეცვალა.

და მაინც, ახალზელანდიელებმა ამჯერად იოლად სძლიეს მასპინძლებს — 24:3, და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისტორია ყოველთვის როდი მეორდება. თამაშის ბედი საწყის 15 წუთში გადაწყდა, რომლის განმავლობაშიც სტუმრებმა ორი ლელო გაიტანეს: ჯერ იყო და ვარემარბმა ინესმა მოედნის შუაგულიდან კარამდე გადასერა მოედანი, მერე კი ბრუერმა შერკინებიდან აიღო ბურთი, იქვე მარჯვედ შეუტია და ა. ვეთონს ლელო გაატანინა. ფოქსმა ორივე ლელო გარდასახა, თამაშის ბოლომდე კი კიდევ სამი საჯარიმო და ერთი არეკნი შეაგდო. ფრანგების სამი ქულა გარე ნახევარმცველის კამბერაბეროს ანგარიშზე მოდის.

ახლა ფრანგები მეორე ტესტის იმედად არიან, რომელიც შაბათს, 10 ნოემბერს, პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე გაიმართება.

(ხაკ. ინფ.).

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პრიზი შბრძოლველად

ჩოგბურთელთა დღეს პოპულარულ პარიზ-ბერსის ტურნირს, რომლის საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი გახლავთ არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი 1986 წელს ჩაეყარა და დამთავრდა გერმანელ ბორის ბეკერის გამარჯვებით. მომდევნო წლებში ტურნირის ჩემპიონები იყვნენ ტომ მაიოტი (აშშ), ამოს მანსდორფი (ისრაელი) და ისევ ბეკერი.

სხვათა შორის, გერმანელი ჩოგბურთელი წლეულსაც ახლო იყო მიზანთან. ყოველ შემთხვევაში ბეკერმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა შვედ სტეფან ედბერგთან ერთად. სამწუხაროდ, ეს საინტერესო ორთაბრძოლა პირველსავე პარტიაში შეწყდა. ანგარიშზე 3:3 გერმანელმა ჩოგბურთელმა ფეხი დაიზიანა და ბრძოლის გაგრძელება ვერ შესძლო. მთავარი პრიზი დარჩა სტეფან ედბერგს უბრძოლველად.

„სპორტლოტო“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 43-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.407.945 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისათვის (26) მოგება 1.894 მანეთია, ოთხისთვის (1.997) — 31, სამისთვის (33.343) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 38.116 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—37, 3—793.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.392.197 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (45) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (7.422) — 105, სამისთვის (215.809) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 465.162 ვარიანტი. 5—1 (თბილისი). 4—186, 3—6.189.

43-ე და 34-43 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 17 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით.

კალეიდოსკოპი

მილიონერი კლუბები

იტალიის პრესის მონაცემებით ქვეყნის ყველაზე მდიდარ კლუბებს შორის დამაჯერებლად პირველობენ ტურნინს „იუვენტუსი“ და „მილანი“. პირველს თავის ანგარიშზე აქვს 40 მილიონი დოლარი, მეორეს კი ერთი მილიონით ნაკლები.

„იუვენტუსისა“ და „მილანის“ ასეთი ზღაპრული ბიუჯეტის მთავარ წყაროს სატელევიზიო კომპანიები წარმოადგენენ. აქედან მიღებული შემოსავლის ნაწილი იხარჯება საზღვარგარეთელ „ვარსკვლავთა“ შესასყიდად, რომლებიც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამდიდრებენ კლუბების სალაროებს.

არავინ უარყოფს

შარშან მედიკოსთა საერთაშორისო ასოციაციამ ფუნდამენტური კვლევა ჩაატარა აპენინების ნახევარკუნძულზე დოპინგის გავრცელების სფეროს შესასწავლად. ამ კვლევის მონაცემები დაიბეჭდა ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“. დადგინდა, რომ იტალიელ სპორტსმენთა 10 პროცენტი აქტიურად ხმარობს ამფეტამინებსა და სხვა ანაბოლიურ სტეროიდებს.

ანონიმურად გამოკითხულ სპორტსმენთა დიდმა უმრავლესობამ აღიარა, რომ იყენებს დოპინგს როგორც შიდაიტალიურ, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 1014-მა სპორტსმენმა, 216-მა მწვრთნელმა, ექიმმა, და მენეჯერმა.

უცხოელთა ლეგიონი

მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია შეშფოთებულია იმის გამო, რომ უცხოელთა იმპორტმა კატასტროფული სახე მიიღო: ეროვნული ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე 20 კლუბიდან თითხმეტს უცხოელი მწვრთნელი ავარჯიშებს. მათ შორის ყველაზე ცნობილნი არიან ბრაზილიელი ზიკოედუ, რომელიც „ვერაკრუსთან“ მუშაობს და იუგოსლავიელი სპეციალისტი დრაგოსლავ შეკულარაცი — კლუბ „ამერიკას“ მწვრთნელი.

ბლომად არიან მექსიკაში უცხოეთიდან (ასე გასინჯეთ, ევროპიდანაც კი) ჩასული ფეხბურთელები. ადგილობრივ კლუბებში, მაგალითად, 21 არგენტინელი და 18 ბრაზილიელი თამაშობს.

ფასიანი გადაცემები

1991 წლიდან გერმანიაში მუშაობას დაიწყებს ფასიანი სატელევიზიო პროგრამა, რომელიც მხოლოდ სპორტულ სანახაობებს მოემსახურება. ამ სიახლეს ტელემაყურებლები, უმთავრესად, მიესალმებიან, ვინაიდან მათ გარანტირებული ექნებათ რეპორტაჟები ჰოკეისტთა, ფეხბურთელთა, ხელბურთელთა და მძლეოსანთა ტურნირებიდან. აბონემენტის თვიური ღირებულებაა 50 მარკა.

კატარინა ვიტი — მომღერალი

ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში, გერმანელი კატარინა ვიტი ანცვიფრებს ყველას თავისი ნიჭის მრავალფეროვნებით. სპორტიდან წასვლის შემდეგ ვიტი რომ „აის-რევიუს“ ვარსკვლავი გახდა, არავის გაჰკვირვებია. მერე მან შესაძლებლობები მოსინჯა კინემატოგრაფში და იქაც გარკვეული კვალი დატოვა. ახლა ვიტი მომღერალი გახდა და, როგორც ამბობენ, სულ მალე ამ ამპლუაშიც წარმატებას მიაღწევს.

ყოველ შემთხვევაში, გერმანელი კომპოზიტორი დიტერ დემი უკვე ამთავრებს სპეციალურად მისთვის განკუთვნილ მიუზიკლზე მუშაობას. კომპოზიტორი დარწმუნებულია, რომ ვიტი ამ სფეროშიც გამოიჩენს თავს. ჟურნალისტები კი პროგნოზებისგან თავს იკავებენ. მათ კარგად ახსოვთ მეორე, არანაკლებ პოპულარული ფიგურისტის გაბრიელა ზაიფერტის ოკეანური ფიასკო.

კალეიდოსკოპი

„სპორტპროგნოზი“, 46-ე ტირაჟის პროგრამა (17—18 ნოემბერი)

პროგნოზი

სსრ კავშირის თასი ფეხბურთში, მერვედფინალი (საპასუხო მატჩები)					
1. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (სტავროპოლი)	17.XI	80	10	10	X
2. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	17.XI	80	10	10	X
3. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „გასტელო“ (უფა)	17.XI	80	10	10	2
4. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — ცსკა	17.XI	30	40	30	2
5. „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მინსკი)	17.XI	70	20	10	2
6. „კარპატი“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	17.XI	10	30	60	1
7. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	17.XI	50	40	10	2
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
8. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „სოკოლი“ (კიევი)	17.XI	80.	10	10	1
9. „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	17.XI	10	30	60	X
10. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	18.XI	80	10	10	X
11. „ტორპედო“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	18.XI	30	50	20	1
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში					
12. „მილანი“ (მილანი) — „ინტერი“ (მილანი)	18.XI	20	70	10	1
13. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „სამპდორია“ (გენუა)	18.XI	70	20	10	2

შენიშვნა: სათასო მატჩებში შედეგი განისაზღვრება თამაშის ძირითადი დროის მიხედვით

ავლაბრის სტადიონი

(ბოჭორმის ქ. № 18)

10 ნოემბერი

ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ლიგა, აღმოსავლეთის ზონა)

„მრეტები“ (თბილისი) — „ბარისი“ (თეთრი წყარო)

დასაწყისი 14 საათზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოტეტიშვილის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „ნერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380000, თბილისი, მ. კოტეტიშვილის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20